ჩემპიონი გამოეთიშა ბრძოლას!

მოსკოვი, 31 ივლისი (ტელეფონით). "დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე დღეს გაიმართა სსრ კავშირის თასის წლევანდელი გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩი.

ერთმანეთს შეხვდნენ **თბილისისა და მინსკის დინამოელები**. უდიდესი მონდომებით მოთამაშე მინსკელებმა ყველა რგოლში აჯობეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს _ 2:1.

გოლები გაიტანეს: მინსკელთაგან _ პოგალნიკოვმა (მე-6 წ.) და ადამოვმა (67-ე წ.), თბილისელთაგან _ ბარქაიამ (53-ე წ.).

ამრიგად, მინსკის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი გახდა თასის წლევანდელი გათამაშების პირველი ფინალისტი.

მეორე ფინალისტის საკითხი გაირკვევა 2 აგვისტოს, მოსკოვის "სპარ-ტაკისა" და კუიბიშევის "კრილია სოვეტოვის" მატჩში.

"ლელო", 1 აგვისტო, 1965 წ.